



# რევაქცინაცია მრნა-ვაქცინის გამოყენებით (ფაიზერი/ბაიონტეკი, მოდერნა)

მრნა-ვაქცინები კარგად იცავენ Covid-19-ით დაავადების მძიმე ფორმისგან და ჰოსპიტალიზაციისგან. პირველადი იმუნიზაციის ეს დაცვითი ეფექტი ვირუსის არსებული შტამების შემთხვევაში სწრაფად მცირდება. ამიტომაც 12 წლის ასაკიდან ყველა პირს ვურჩევთ რევაქცინაციას.

## რა არის რევაქცინაციის მიზანი?

ბუსტერ-დოზით აცრა თავისებურად შეახსენებს იმუნურ სისტემას დაავადების გამომწვევი პათოგენის შესახებ. ვაქცინის მძიმე დაავადებისგან დაცვის ეფექტი უფრო იზრდება და ხანგრძლივდება. მნიშვნელოვანია იცოდეთ: ვირუსის არსებულ შტამებზე ვაქცინის ეფექტი მცირეა, ვირუსის გავრცელებისგან და ავადმყოფობის მძიმე მიმდინარეობისგან ის მხოლოდ მოკლე დროით იცავს. კოვიდ-19-ით დაინფიცირება ვაქცინაციის მიუხედავად შესაძლებელია.

შემთხვევებში ვაქცინაციიდან მალევე ვითარდება გულის კუნთის ან პერიკარდიუმის/გულის პერანგის ანთება. ისინი უფრო ხშირად მოდერნათი ვაქცინაციის შემდეგ შეინიშნებოდნენ ვიდრე ფაიზერი/ბაიონტეკით ვაქცინირებისას. ეს ძალიან იშვიათი გვერდითი ეფექტია და შესაძლებელია მისგან ადვილად განკურნება. მსგავსი ანთებითი პროცესები ვლინდება კორონავირუსით დაინფიცირების შემთხვევაშიც. თუმცა ორივე მრნა-ვაქცინის შემთხვევაში 30 წლამდე პირებშიც კოვიდ-19 ვაქცინის სარგებელი უფრო მეტია ვიდრე შესაძლო რისკები.

## ვისთვის არის რეკომენდირებული რევაქცინაცია?

ბუსტერ-დოზით აცრა რეკომენდირებულია 12 წლის ასაკიდან. რეკომენდაცია განსაკუთრებით იმ ადამიანებს ეხება, რომლებიც კორონავირუსით დაინფიცირების მაღალ რისკს ექვემდებარებიან:

- 65 წელს ზემოთ ყველა პირი
- განსაზღვრული ქრონიკული დაავადების მქონე 16 წელს ზემოთ პირები<sup>1</sup>
- ფეხმძიმე ქალები

## სად შემიძლია აცრა გავიკეთო?

რევაქცინაციაზე პასუხისმგებელი არიან კანტონები. რეგისტრაციისა და ვაქცინაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ თქვენი კანტონის ვებგვერდს ([www.bag-coronavirus.ch/kantone](http://www.bag-coronavirus.ch/kantone)) ან დარეკეთ ინფო-ხაზზე ან მიმართეთ თქვენს ექიმს ან აფთიაქარს.

## ვისთვის არის დამატებითი რევაქცინაცია (პირველი რევაქცინაციის შემდეგ) რეკომენდებული?

დამატებითი რევაქცინაცია რეკომენდებულია 80 წლიდან ყველა პირისთვის. დამატებით რევაქცინაციას ვურჩევთ ასევე ძალიან სუსტი იმუნური სისტემის მქონე პირებს (დაავადების ან მედიკამენტების გათვალისწინებით) - ამ შემთხვევაში მიმართეთ თქვენს ექიმს.

დამატებითი რევაქცინაცია შესაძლებელია ბოლო ვაქცინაციიდან 4 თვის შემდეგ. ის დამატებით ზრდის ვაქცინის დაცვის ეფექტს დაავადების მძიმე მიმდინარეობისგან როგორც მინიმუმ გარკვეული დროის განმავლობაში.

## როდის უნდა მოხდეს რევაქცინაცია?

რევაქცინაცია რეკომენდირებულია მრნა-ვაქცინით პირველადი დასრულებული იმუნიზაციიდან 4 თვის შემდეგ. პირველადი იმუნოზაცია დასრულებულად ითვლება:

- მრნა-ვაქცინით ორჯერადაც აცრის შემდეგ; ან
- კორონავირუსით დადასტურებული ინფექციის შემდეგ + მრნა-ვაქცინის დოზა მინიმუმ 4 კვირის შუალედში (თანმიმდევრობისგან განურჩევლად).

ბოლო ვაქცინაციის შემდეგ ახალი კორონავირუსით დაინფიცირდით? ამ ინფექციის შემდეგ ავადმყოფობის მძიმე მიმდინარეობისგან თქვენი დაცვის არსებითად გაზრდისთვის გირჩევთ განმეორებით რევაქცინაციას. დაინფიცირებიდან 4 კვირის შემდეგ შეგიძლიათ აიცრათ (კოვიდ-19-ზე ბოლო ვაქცინაციიდან 4 თვიანი მინიმალური შუალედის დაცვით)

დაინფიცირდით კორონავირუსით ბოლო ვაქცინაციის შემდეგ? ეს ინფექცია საგრძნობლად არ ზრდის დაცვას დაავადების მძიმე მიმდინარეობისგან, ამიტომ ჩვენ გირჩევთ დამატებით რევაქცინაციას. ვაქცინაცია შესაძლებელია ჩატარდეს ინფიცირებიდან 4 კვირის შემდეგ. (უკანასკნელი კოვიდ-19 ვაქცინაციის შემდეგ მინიმუმ 4 თვის ინტერვალით).

პირველადი დასრულებული იმუნიზაციის შემდეგ დაინფიცირების შემთხვევაში რევაქცინაციას გირჩევთ. ახალი კვლევების თანახმად ინფექცია დაავადების მძიმედ მიმდინარეობისგან საკმარის დაცვას არ გთავაზობს. დაინფიცირებიდან 4 კვირის შემდეგ შეგიძლიათ აიცრათ (კოვიდ-19-ზე ბოლო ვაქცინაციიდან 4თვიანი მინიმალური შუალედის დაცვით).

## რომელი ვაქცინით კეთდება რევაქცინაცია?

პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს ორი ხელმისაწვდომი მრნა-ვაქცინიდან რომელს გამოიყენებთ.

ყველა დანარჩენი ინფორმაცია, რომელიც რევაქცინაციას ეხება, არის იგივე, რაც პირველადი ვაქცინაციის დროს და შეგიძლიათ გაეცნოთ საინფორმაციო ბუკლეტის მეშვეობით „Covid-19 საწინააღმდეგო მრნა-ვაქცინასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია“.

რეკომენდაცია 30 წლამდე პირებისთვის: 18-დან 29 წლამდე ასაკის პირებისთვის რეკომენდირებულია ვაქცინაცია ფაიზერი/ბაიონტეკით. 12- დან 17 წლამდე ასაკის პირებისთვის რეკომენდირებულია ვაქცინაცია ფაიზერი/ბაიონტეკით. რადგან, ძალიან იშვიათ

<sup>1</sup> დაავადებების სრული ნუსხა იხილეთ სახელწოდებით განსაკუთრებულ რისკს ექვემდებარებიან მყოფი პირების კატეგორიებ (PDF, 160 kB)